24 ივლისს შედგება ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის შესახებ ფილმის – „მღვდელთმთავარი“ პრემიერა

2021 წლის 24 ივლისს ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს 55 წელი უსრულდება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, გაიმართება ტელარხ „კულტურის“ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის, „მღვდელთმთავარი“, პრემიერა.

მაყურებელს შეუძლია, გაეცნოს, მეუფე ილარიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას იშვიათი საარქივო მასალებით, უახლოესი თანამუშაკების მონათხრობებით, მისი საკუთარი მოგონებებით.

ტუჩებზე მიყინული ბარძიმი, ფეხით ათობით კილომეტრი ტაძრიდან ტაძრამდე, მოულოდნელი კონფლიქტები, შთაგონება, რომელიც გაიძულებს, ორ ქალაქს შორის შუაგზაზე გაჩერდე და მუსიკა ჩაიწერო, შემოქმედებითი კრიზისი და ახალი აღმაფრენა... ეს მხოლოდ იმ მოვლენების ცალკეული დეტალებია, რომელთა შესახებაც მაყურებელი დოკუმენტური ფილმიდან გაიგებს. სწორედ ამ დეტალების საშუალებით გახდება აშკარა ფილმის მთავარი შინაარსი: სამყაროს ის სურათი, რომლის მოტანაც სურდა მიტროპოლიტ ილარიონს თავის თანამედროვეებამდე.

„მღვდელთმთავარის“ პრემიერა გაიმართება 24 ივლისს 20:15 ტელეარხ „კულტურაზე“ და 21:30 მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესო კავშირების განყოფილების YouTube-არხზე – **https://youtu.be/acVw6N1uM6A**.

დოკუმენტურ ფილმს ასევე აჩვენებენ მიტროპოლიტ ილარიონის YouTube-არხზე – **https://youtu.be/yz_2rnDlwsw** და ინტერნეტ-პორტალ „იესოს“არხზე – **https://youtu.be/RqZwltS_FV8**.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87782/